ტესტი მუსიკაში

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები 1 – 6.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და გაეცით პასუხები შესაბამის კითხვებზე. პირველ ექვს დავალებაში თითოეულისათვის განკუთვნილია ერთი მუსიკალური ფრაგმენტი და ორი კითხვა. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ ერთი სწორი პასუხი. თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია.

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი, რათა წაიკითხოთ დავალების კითხვები.

(დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან).

დავალება 1.

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (1.1 და 1.2):

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) სვანეთი

ბ) კახეთი

გ) გურია

დ) სამეგრელო

1.2 რა ჟანრის სიმღერაა?

ა) სატრფიალო

ბ) ეპიკური

გ) შრომის

დ) სამკურნალო

დავალება 2.

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (2.1 და 2.2):

2.1 რომელი ჟანრის ნაწარმოებია?

ა) სიმფონია

ბ) კვარტეტი

გ) საკონცერტო უვერტიურა

დ) კონცერტი

2.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ოთარ თაქთაქიშვილი

ბ) სულხან ცინცაძე

გ) ალექსი მაჭავარიანი

დ) ანდრია ბალანჩივაძე

დავალება 3.

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (3.1 და 3.2):

3.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ჯუზეპე ვერდი

ბ) ჯაკომო პუჩინი

გ) პიეტრო მასკანი

დ) ჯოაკინო როსინი

3.2 რომელი ხმა ასრულებს სოლისტის პარტიას?

ა) ბარიტონი

ბ) ბანი

გ) ტენორი

დ) კონტრტენორი

დავალება 4.

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (4.1 და 4.2):

4.1 რომელი კომპოზიტორის ნაწარმოებია?

ა) ფერენც ლისტის

ბ) ჰექტორ ბერლიოზის

გ) პეტრე ჩაიკოვსკის

დ) იოჰანეს ბრამსის

4.2 რომელი ცეკვაა გამოყენებული ფრაგმენტში?

ა) პოლკა

ბ) მაზურეკი

გ) ვალსი

დ) ჩარდაში

დავალება 5.

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (5.1 და 5.2):

5.1 რომელი ოპერიდან ჟღერს ფრაგმენტი?

ა) „ფიგაროს ქორწინება“

ბ) „სევილიელი დალაქი“

გ) „რიგოლეტო“

დ) „ორფევსი და ევრიდიკე“

5.2 რომელი საკრავი ასრულებს სოლო პარტიას?

ა) ჰობოი

ბ) ფაგოტი

გ) კლარნეტი

დ) ფლეიტა

დავალება 6.

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (6.1 და 6.2):

6.1 რომელი ეპოქის მუსიკაა?

ა) შუა საუკუნეები

ბ) XX საუკუნე

გ) რენესანსი

დ) ბაროკო

6.2 რომელი საშემსრულებლო შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი

ბ) ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი

გ) სიმფონიური ორკესტრი

დ) კამერული ორკესტრი

დავალება 7.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი კილოს შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი. კილოს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს.



დავალება 8.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი რიტმული ფიგურაციის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი. რიტმულ ფიგურაციას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს.



დავალება 9.

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მელოდია და ჩაწერეთ სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ოთხჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია.

<u>ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაზე.</u>

დავალება 10.

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი

<u>**ინსტრუქცია**</u>**. მოისმინეთ და გააანალიზეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი მოცემული საკითხების მიხედვით, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე.**

ფრაგმენტის ჩანაწერს მოისმენთ სამჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

(კითხვები მოცემულია მომდევნო ორ გვერდზე).

1. რომელ ინსტრუმენტულ ჟანრს ეკუთვნის მოცემული ფრაგმენტი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი. მიუთითეთ დასავლეთევროპელი კომპოზიტორი, რომელმაც შექმნა ამ ჟანრის კლასიკური ნიმუში.

2. დაადგინეთ მოსმენილი ფრაგმენტის:

ა) მუსიკალური ფორმა;

ბ) საწყისი ტონალობა;

გ) მე-7-8 ტაქტებში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

3. დაახასიათეთ, როგორ ვითარდება მუსიკალური ფრაგმენტის მხატვრულ-ემოციური მხარე; გააანალიზეთ და მოკლედ აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხები (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, ტემბრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა.შ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსმენილი ფრაგმენტის მხატვრული შინაარსის შექმნისათვის.

4. მოსმენილი ფრაგმენტის მუსიკალურ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ ნაწარმოების შექმნის ეპოქა და კომპოზიტორის ვინაობა.

5. მოკლედ დაახასიათეთ მოსმენილი ნაწარმოების ავტორის შემოქმედება და გამოყავით ამ ჟანრის მნიშვნელობა მის შემოქმედებაში; განიხილეთ ნაწარმოების მუსიკალურ-მხატვრული კონტექსტის თავისებურება.

(მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი მოცემულია მომდევნო გვერდებზე).


Lento
Violin I
Violin II
Viola
Violoncello
sf espress. cantabile
mf
mf
mf
p
p
p
p


12
13
14
15
16
cresc.
f
dim.
3
p
Piu mosso
mf


f
f
mf
f
mf
f
mp
poco a poco dim.
pizz.
mp
poco a poco dim.
p
pizz.
mp
poco a poco dim.
p
pizz.
mp
p


Allegro molto vivace
pp
pp
pp
1.
2.
ff
ff
ff
f
ff


poco dim.
poco dim.
8va
p
p
p
p
pp
pizz.
pp
pizz.
pp
pizz.
pp


Allegro maestoso
ff
arco
p
cresc.
sf
2/4


p


p
pizz.
pizz.
pizz.
pizz.

II ნაწილი

დავალებები 11 – 26.

<u>ინსტრუქცია</u>. სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა მონიშნეთ პასუხების ფურცელზე X ნიშნით.

დავალება 11.

რომელ ეპოქაში შეიქმნა მესა, როგორც საეკლესიო მუსიკის ჟანრი?

ა) ბაროკო

ბ) შუა საუკუნეები

გ) რენესანსი

დ) XIX საუკუნე

დავალება 12.

რომელ მუსიკალურ ციკლსა ან კრებულში შედის პიესა „თოჯინების ქეიქ-უოქი“?

ა) რობერტ შუმანის „ალბომი ყმაწვილთათვის“

ბ) კლოდ დებიუსის „საბავშო კუთხე“

გ) პეტრე ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომი“

დ) იოჰან სებასტიან ბახის „ანა მაგდალინას სანოტო რვეული“

დავალება 13.

რომელ კომპოზიტორს უკავშირდება იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედების აღორძინება XIX საუკუნეში?

ა) კ. ვებერს

ბ) რ. შუმანს

გ) ფ. მენდელსონს

დ) რ. ვაგნერს

დავალება 14.

რომელი კომპოზიტორის მუსიკა უდევს საფუძვლად საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს?

ა) ანდრია ბალანჩივაძის

ბ) დიმიტრი არაყიშვილის

გ) ოთარ თაქთაქიშვილის

დ) ზაქარია ფალიაშვილის

დავალება 15.

ვინ არის სონატურ-სიმფონიური ციკლის ფუძემდებელი?

ა) ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

ბ) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

გ) ფრანც შუბერტი

დ) იოზეფ ჰაიდნი

დავალება 16.

რა ახასიათებს რონდოს ფორმას?

ა) მუსიკალური თემის სახეშეცვლილი გამეორება

ბ) ექსპოზიციურ ნაწილში მუსიკალური თემის სხვადასხვა ხმებში თანამიმდევრობით გატარება

გ) მთავარი და დამხმარე მუსიკალური თემების კონტრასტული დაპირისპირება

დ) ერთი მუსიკალური თემის სხვა თემების გაჟღერებას შორის რამდენჯერმე გამეორება

დავალება 17.

მომდევნო ჟანრებიდან რომელი *<u>არ არის</u>* ტიპური კლასიციზმისათვის?

ა) სიმებიანი კვარტეტი

ბ) სიმფონია

გ) სიუიტა

დ) კონცერტი

დავალება 18.

რომელი ინსტრუმენტები შედის კლასიკური სიმფონიური ორკესტრის <u>ლითონის</u> ჩასაბერ საკრავთა ჯგუფში?

ა) ფლეიტა, ტუბა, ვალტორნა, კლარნეტი

ბ) ვალტორნა, ტუბა, საყვირი, ფაგოტი

გ) ტრომბონი, ტუბა, საყვირი, ვალტორნა

დ) ტრომბონი, ვალტორნა, ჰობოი, საყვირი

დავალება 19.

ჩამოთვლილთაგან რომელ კომპოზიტორს *<u>არ შეუქმნია</u>* ოპერა?

ა) ბეთჰოვენს

ბ) ვაგნერს

გ) ბრამსს

დ) ვებერს

დავალება 20.

რა ეწოდება საოპერო ვოკალურ ფორმას, მიახლოვებულს სალაპარაკო მეტყველებასთან?

ა) არია

ბ) ბალადა

გ) რეჩიტატივი

დ) არიოზო

დავალება 21.

რომელმა კომპოზიტორმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ ფოლკლორისტიკას?

ა) ზაქარია ფალიაშვილმა

ბ) ალექსი მაჭავარიანმა

გ) დიმიტრი არაყიშვილმა

დ) ლადო აღნიაშვილმა

დავალება 22.

რომელი ჟანრი მიეკუთვნება ინსტრუმენტულ მუსიკას?

ა) მოტეტი

ბ) რიჩერკარე

გ) მადრიგალი

დ) ჰიმნი

დავალება 23.

რომელი მუსიკოსი ჩაუდგა სათავეში ქართულ საფორტეპიანო სკოლას?

ა) მელიტონ ბალანჩივაძე

ბ) ხარლამპი სავანელი

გ) ალოიზ მიზანდარი

დ) ოთარ თაქთაქიშვილი

დავალება 24.

რომელ რუს კომპოზიტორს აქვს გამოყენებული საკუთარი ბალეტისათვის ქართული „იავნანას“ მოტივი?

ა) იგორ სტრავინსკის

ბ) პეტრე ჩაიკოვსკის

გ) სერგეი პროკოფიევს

დ) დიმიტრი შოსტაკოვიჩს

დავალება 25.

რომელი ოპერის გმირია ამნერისი?

ა) „დონ ჯოვანი“

ბ) „სევილიელი დალაქი“

გ) „ბოჰემა“

დ) „აიდა“

დავალება 26.

რომელი ჯგუფის საკრავთა ოსტატი იყო სტრადივარიუსი?

ა) ჩასაბერი

ბ) სიმებიანი

გ) დასარტყამი

დ) კლავიშიანი

დავალებები 27 – 30.

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ <u>*სოლ*</u> ნოტიდან მოცემული ინტერვალი, სამ და ოთხხმიანი აკორდები, კილო და ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში:

27. წმინდა კვარტა

28. მინორული სექსტაკორდი

29. შემცირებული სეპტაკორდი

30. ჰარმონიული მაჟორი

დავალებები 31 – 33.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ მოცემულობათა შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის <u>მხოლოდ ერთი მონაცემი</u> (ა, ბ, გ, დ, ე). თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით, პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში.

დავალება 31.

დაადგინეთ შესაბამისობა საფორტეპიანო ნაწარმოებებსა და მუსიკალურ ჟანრებს შორის, რომელთაც ისინი მიეკუთვნება:

1) ლ. ვან ბეთჰოვენის „აპასიონატა“	ა) სუიტა
2) კ. დებიუსის „სელისფერთმიანი ქალიშვილი“	ბ) პრელუდია
3) რ. შუმანის „კარნავალი“	გ) ეტიუდი
	დ) სონატა
	ე) რაფსოდია

დავალება 32.

დაადგინეთ შესაბამისობა ოპერის პერსონაჟებსა და ოპერებს შორის:

1) ჰერცოგი	ა) „ჯადოსნური ფლეიტა“
2) ფიგარო	ბ) „სოფლის ღირსება“
3) პაპაგენო	გ) „სევილიელი დალაქი“
	დ) „ტურანდოტი“
	ე) „რიგოლეტო“

დავალება 33.

დაადგინეთ შესაბამისობა მუსიკალურ ეპოქებსა და კომპოზიტორებს შორის:

1) რენესანსი	ა) იოზეფ ჰაიდნი
2) XX საუკუნე	ბ) ფრიდერიკ შოპენი
3) ბაროკო	გ) იანის ქსენაკისი
	დ) ჯოვანი პიერლუიჯი და პალესტრინა
	ე) ანტონიო ვივალდი

დავალებები 34 – 38.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით; ასეთ შემთხვევაში, კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.

მცდარი დებულების შემთხვევაში, მოცემულ განმარტებას შეუსაბამეთ სწორი ტერმინი/სიტყვა ან მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწერეთ სწორი განმარტება. <u>გაითვალისწინეთ</u>, რომ არ მიიღება პასუხი, სადაც მოცემული განმარტების დადებითი ფორმა შეიცვლება უარყოფითით ან პირიქით.

დავალება 34.

ქართული ხალხური სიმღერები - „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „ლილე“ და „ხერტლის ნადური“ - აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორის ნიმუშებია.

დავალება 35.

ქართულ ხალხურ სიმღერა „ალი ფაშას“ ახასიათებს ბურდონული ტიპის მრავალხმიანობა.

დავალება 36.

მუსიკალურ-თეატრალური ჟანრი „მიუზიკლი“ შეიქმნა საფრანგეთში.

დავალება 37.

იოჰან სებასტიან ბახი არის გერმანული ოპერის ფუძემდებელი.

დავალება 38.

მადრიგალი, როგორც ერთხმიანი სასიმღერო ჟანრი, შეიქმნა იტალიაში, რენესანსის ეპოქაში.

დავალებები 39 - 40.

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ცხრილში ქრონოლოგიური მიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში, შერჩეული ციფრის გასწვრივ ჩაწერეთ სწორი პასუხები ანბანის ასოებით (ა, ბ, გ, დ).

დავალება 39.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ მუსიკალური ჟანრები, შექმნის პერიოდების მიხედვით:

ა) სონატურ-სიმფონიური ციკლი

ბ) ოპერა

გ) საკონცერტო უვერტიურა

დ) მესა

დავალება 40.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ მუსიკალური ეპოქები და მიმდინარეობები:

ა) შუა საუკუნეები

ბ) მინიმალიზმი

გ) რენესანსი

დ) რომანტიზმი